სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 23 0001367124

13/10/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 15 მაისის MES 6 23 0000538145 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აპლიკანტებმა, რომლებმაც 2023 წლის მიღებაზე პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის საფუძველზე მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება, 2023 წლის 20 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე (იხ.დანართი №2).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თამარ წერეთელს.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).



რექტორი
გურგენიძე დავით